პროლეტარებო ყველა ყვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТИ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 14 მარტი, 1952 წ. № 63 (9223). ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

კოლმეურნეობის თავმჯდომარე — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში — მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში 1951 წლის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ — 1. სტალინური პრემიები მეცნიერული ნაშრომებისათვის (1-ლი გვერდი).

გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში (მე-2 და მე-3 გვერდი).

კ. ქავთარაძე — შემოქმედებითი ეჭვი სიზმის გენიალური ნაწარმოები (მე-3 გვერდი).

კოლრეის ამბები (მე-4 გვერდი).

ვოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ (მე-4 გვერდი).

დარგაზოება ბერლინში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის პატივსაცემად (მე-4 გვერდი).

ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ჩვენ, ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, მთელი მშრომელი კაცობრიობის გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს.

კომუნისტური მშენებლობის სტალინური გეგმები საბჭოთა სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენს ხალხში და აღაფრთოვანებს მუშათა და გლეხთა უფართოეს მასებსა და ინტელიგენციას სასახელო შრომითი გმირობისათვის, კიდევ უფრო აძლერებს მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითს აქტივობას.

მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ჩაბმული საბჭოთა ხალხი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად იბრძვის ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და კომუნიზმის აშენებისათვის. გასულ 1951 წელს ჩვენ ვადამდე შევასრულეთ ფეროშენადნობთა წარმოების სახელმწიფო გეგმა, დავზოგეთ დაახლოებით სამი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და მივეცით სახელმწიფოს 2.820 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ საბჭოთა მთავრობისა და პირადად თქვენს, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, დაუღალავ ზრუნვას საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის განვითარებისა და აყვავებისათვის, მეტალურგების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

განვიხილეთ რა ი. ბ. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივის მიმართვა 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ვადამდე შევასრულოთ 1952 წლის საწარმოო გეგმა და მივცეთ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 1.000 ტონა მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობი.

2. დავზოგოთ 1.200 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

3. 1 პროცენტით გადამეტებით შევასრულოთ შრომის ნაყოფიერების გეგმა.

4. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით და ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებისა და ხარჯების შემდგომი შემცირებით შევამცროთ პროდუქციის თვითღირებულება და გეგმის გადამეტებით მივცეთ სახელმწიფოს 1,5 მილიონი მანეთი ეკონომია.

5. საექსპლოატაციოდ გადავცეთ 1.700 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

6. გავაჩაღოთ ბრძოლა რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებას და თვითეული აგრეგატის რიტმული მუშაობის უზრუნველყოფას.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ღირსეულად შევასრულებთ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

გისურვებთ, იოსებ ბესარიონის-ძე, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს — დიდ სტალინს!

განხილული და მიღებულია ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კრებებზე

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

დიდი მოვალეობა აკისრიათ სოფლად ხელმძღვანელ საკოლმეურნეო კადრებს და უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე აქტიური საზოგადო მოღვაწეა. ლენინ-სტალინის პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ მზრუნველობით გამოზარდეს საკოლმეურნეო მშენებლობის შესანიშნავი კადრები, რომლებიც გამოირჩევიან დიდი ორგანიზაციული ჩვევებით და წინ მიჰყავთ საერთო საქმე.

კადრების სწორად შერჩევა, აღზრდა და განაწილება საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე ახალი გამარჯვების საწინდარია. **„კოლმეურნეობებს, როგორც მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას,** — გვასწავლის დიდი სტალინი, — **შეუძლიათ გვიჩვენონ სამეურნეო მშენებლობის სასწაულები, თუ მათს სათავეში დგანან ნამდვილი რევოლუციონერები, ბოლშევიკები, კომუნისტები“.**

საქართველო მდიდარია ისეთი კადრებით, რომლებიც უნარიანად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს და თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას არ ზოგავენ საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. საკოლმეურნეო წყობილებამ მოღვაწეობის ფართო ასპარეზი შეუქმნა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს. კარგი მუშაობით სახელი გითქვა სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. ქრისტესიაშვილმა. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ის ყველა ღონისძიებას ხმარობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებისათვის, უხვი მოსავლის მოყვანისათვის. შედეგიც საუკეთესოა. შარშან 454 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20,6 ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14,6 ცენტნერისა, ხოლო 231 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 23,3 ცენტნერი. კოლმეურნეობა ყოველწლიურად წარმატებით ასრულებს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმას, საკმაო რაოდენობით გამოჰყოფს ყველა სახის საზოგადოებრივ ფონდებს. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა შემოსავალი. შრომადღეზე განაწილდა 8,5 კილოგრამი მარცვლეული, აგრეთვე სხვა პროდუქტები და ფული.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა წვრილ კოლმეურნეობათა გაერთიანებამ. კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით მთელი სიგრძე სიგანით დადგა მეურნეობისადმი კვალიფიციური ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხი. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ განამტკიცონ კოლმეურნეობანი ხელმძღვანელი კადრებით. სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების პოსტებზე უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე პირთა დაწინაურებას. აგრონომებმა, ზოოტექნიკოსებმა ბევრი რამ ახალი შეიტანეს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. კოლმეურნეობის სათავეში მდგომი აგრონომი დაუღალავად ზრუნავს იმისათვის, რომ საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ დანერგოს საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, შეაიარაღოს კოლმეურნენი აგრონომიული ცოდნით. ქარელის რაიონის სოფელ რუისის ბერიას სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს აგრონომი ამხ. ნ. შუბითიძე. მისი ხელმძღვანელობით მოკლე დროში კოლმეურნეობა ეკონომიურად მძლავრი გახდა. მნიშვნელოვნად გადიდდა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის საერთო მოსავალი. ალმავლობის გზაზეა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ამხ. შუბითიძე განუხრელად ახორციელებს მაღალ აგროტექნიკას, უნარიანად იყენებს შრომითს და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს საზოგადოებრივი მეურნეობის განსავითარებლად, იჩენს ინიციატივას ახალი საკითხების განხორციელებაში.

უკანასკნელ წლებში ქობულეთის რაიონში მოწინავეთა რიგებში ჩადგა სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ამხ. ლ. წულუკიძე. თავისი ინიციატივიანი, მონდომებული მუშაობით მან კოლმეურნეთა შორის შესანიშნავი ავტორიტეტი დაიმსახურა. კოლმეურნეობა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ბაზად არის გადაქცეული. შარშან აქ კოლმეურნეობის საერთო ფულადმა შემოსავალმა ექვს მილიონამდე მანეთი შეადგინა.

უნარიანად უძღვება აგრეთვე სამუშაოს სოფელ გავაზის (ყვარლის რაიონი) ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. თ. ბუჯიაშვილი. ასეთი მაგალითები ბევრია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის საპატიო მოვალეობაა მტკიცედ იდგეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ ძირითადი კანონის — დაცვის სადარაჯოზე, მთელ მუშაობას საფუძვლად დაუდოს წესდების მოთხოვნანი, წმიდად დაიცვას საბჭოთა სახელმწიფოს, კოლმეურნეობის ინტერესები, თვალსაჩინოებით გაუფრთხილდეს საკოლმეურნეო საზოგადოებრივ საკუთრებას, მომჭირნეობით ხარჯოს საკოლმეურნეო სახსრები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის საპატიო მოვალეობაა სწორად წარმართოს საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვის, საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობის საქმეები, განუწყვეტლივ ზრუნავდეს სახელმწიფო ვალდებულებათა პირველ რიგში შესრულებისათვის, საზოგადოებრივი ფონდების საკმაო რაოდენობით შექმნისათვის, შრომის სწორი ორგანიზაციისა და ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის საპატიო მოვალეობაა ოპერატიულად უხელმძღვანელოს მსხვილ მეურნეობას. სწორი ხელმძღვანელობისათვის აუცილებელია, რომ თავისი ცოდნა შეავსოს მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილებით, ერთი წუთითაც არ შეასუსტოს კავშირი მასებთან, გულისხმიერად დაუგდოს ყური მათ ხმას, დროზე გამოხმაუროს სიგნალებს, დაიცვას საკოლმეურნეო დემოკრატია.

პარტია გვასწავლის, რომ კადრების შერჩევა, განაწილება და დაწინაურება უნდა ხდებოდეს მათი პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მიხედვით. საბედნიეროდ, ზოგიერთ რაიონში ვხვდებით კადრების შერჩევის ამ ბოლშევიკური პრინციპის უხეში დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარის საპატიო პოსტზე ხვდება ისეთი მუშაკიც კი, რომელსაც გარკვეული „გამოცდილება“ აქვს საკოლმეურნეო ქონების მითვისებაში. მაგალითად, ჭიათურის რაიონის სოფელ ტყემლოვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე თავმჯდომარედ არ აირჩიეს საზოგადოებრივი დოვლათის გამნიავებელი აკ. კვიეინაძე. მაგრამ იმავე დღეს ჭიათურის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა რეკომენდაცია მისცეს მას, და ბოროტმოქმედი რაღაც ოთხი-ხუთი საათის შემდეგ კვლავ დიდი კოლმეურნეობის სათავეში მოექცა. ასეთ ფაქტებს ვხვდებით სამტრედიის, ქარელის და სხვა რაიონებში. აუცილებელია პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა გადაჭრით გაუმჯობესონ კადრების შერჩევა და მიიღონ ქმედითი ზომები ამ საქმეში შეცდომების გამოსასწორებლად, საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების განსამტკიცებლად.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები და სოფლის სხვა ხელმძღვანელი კადრები კომუნისტური მშენებლობის ოქროს ფონდია. კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება კადრებისადმი, მათი შეიარაღება მარქსისტულ-ლენინური თეორიით, მუშაობაში მომთხოვნელობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდა პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა.

ახლოვდება საგაზაფხულო თესვა, რომელიც უხვი მოსავლისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნარიანი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში 1951 წლის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა სტალინური პრემიები მიენიჭოს 1951 წლის თვალსაჩინო მეცნიერული შრომებისათვის, გამოგონებებისათვის და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის.

I.

სტალინური პრემიები მეცნიერული ნაშრომებისათვის

ა. ფიზიკის მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. **ბელოვს** ნიკოლოზ ვასილის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კრისტალოგრაფიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — მეცნიერული ნაშრომებისათვის კრისტალების ატომური სტრუქტურის დარგში, რაც 1948-1951 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალებში: „ლეონის გეოლოგიური საზოგადოების მინერალოგიის კრებული“, „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებანი, „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ და „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კრისტალოგრაფიის ინსტიტუტის შრომები“.

2. **ვავილოვს** სერგი ივანეს-ძეს, აკადემიკოსს, — მეცნიერული ნაშრომებისათვის „სინათლის მიკროსტრუქტურა“ და „თვალი და მზე“, რომლებიც გამოქვეყნდა 1950 წელს.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **კირილოვს** ელპიდიფორ ანემპოდისტეს-ძეს, ოდესის ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, — ფოტოქიმიურად შეღებილი გალოიდური ვერცხლის შთანთქმის სპექტრის წმინდა სტრუქტურის აღმოჩენისა და გამოკვლევისათვის, რაც ჩამოყალიბებულია სტატიების სერიაში, რომლებიც 1949-1951 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალებში: „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, „მეცნიერული ფოტოგრაფიის წარმატებანი“ და „ოდესის ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“.

2. **კრინოვს** ევგენი ლეონიდეს-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეტეორიტთა კომიტეტის სწავლულ მდივანს, — გამოკვლევებისათვის მეტეორიტიკის დარგში, რაც ჩამოყალიბებულია წიგნებში „მეტეორიტები“, „ტუნგუსის მეტეორიტი“ და სტატიაში „სიხოტე-ალის რკინის მეტეორიტის წვიმის ინდივიდუალური ეგზემპლარების დნობის ქერქის ფორმა და ზედაპირული სტრუქტურა“, რომელიც გამოქვეყნდა 1950 წელს კრებულში „მეტეორიტიკა“.

3. **ლევშინს** ვადიმ ლეონიდეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, **ანტონოვ-რომანოვსკის** ვსევოლოდ ვასილის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, **მორგენშტეინს** ზინაიდა ლაზარეს ასულს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, **ტრაპეზნიკოვას** ზინაიდა ალექსის ასულს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, — ახალი მნათი შედგენილობის გამოკვლევისა და მისი მოქმედების თეორიის დამუშავებისათვის.

4. **ცვეტკოვს** ვიქტორ ნიკოლოზის-ძეს, ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, — მაღალმოლეკულურ ნივთიერებათა აღნაგობისა და თვისებების გამოკვლევისათვის, რაც ჩამოყალიბებულია სტატიების სერიაში, რომლებიც 1949-1951 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალებში: „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებანი“, „ექსპერიმენტული და თეორიული ფიზიკის ჟურნალი“, „ფიზიკური ქიმიის ჟურნალი“ და „კოლოიდური ჟურნალი“.

მესამე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **ანდრონიკაშვილს** ელეფთერ ლუარსაბის-ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, — თხევადი ჰელიუმის — II თვისებათა ექსპერიმენტული გამოკვლევისათვის, რაც ჩამოყალიბებულია სტატიებში, რომლებიც 1946-1949 წლებში გამოქვეყნდა „ექსპერიმენტული და თეორიული ფიზიკის ჟურნალში“.

2. **სევერნის** ანდრია ბორისის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკის ობსერვატორიის დირექტორის მოადგილეს, **მუსტელს** ევალდ რუდოლფის-ძეს, პროფესორს, იმავე ობსერვატორიის განყოფილების გამგეს, — მზეზე ქრომოსფერული აპრიალების გამოკვლევისათვის.

3. **სმოლენსკის** გიორგი ანატოლის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სილიკატთა ქიმიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ტოროპოვს** ნიკიტა ალექსანდრეს-ძეს, ლაბორატორიის გამგეს, **ბორისენკოს** ანატოლი ისიდორეს-ძეს, იმავე ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს, — სეგნეტოელექტრიკებისა და ფერიტების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებათა გამოკვლევისათვის, რაც ჩამოყალიბებულია სტატიების სერიაში, რომლებიც 1949-1951 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალებში: „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებანი“, „ტექნიკური ფიზიკის ჟურნალი“ და „გამოყენებითი ქიმიის ჟურნალი“.

ბ. მექანიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დარგში

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **მერგელიანს** სერგი ნიკიტას-ძეს, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და მექანიკის სექტორის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — ნაშრომებისათვის ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის დარგში, რაც დამთავრდა სტატიით „ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის ზოგიერთი საკითხი“, რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომებში“.

2. **ნეკრასოვს** ალექსანდრე ივანეს-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, — მეცნიერული შრომისათვის „ძძიმე სითხის ზედაპირზე დამყარებული სახის ტალღების ზუსტი თეორია“, რომელიც გამოქვეყნდა 1951 წელს.

3. **ნიკოლსკის** სერგი მიხეილის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — ნაშრომებისათვის ნამდვილად ცვლადის ფუნქციათა მიახლოვების თეორიის დარგში, რაც დამთავრდა სტატიით „საბოლოო ხარისხის მთლიან ფუნქციათა არათანაბრობა და მათი გამოყენება მრავალი ცვლადის სადიფერენციო ფუნქციების თეორიაში“, რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომებში“.

4. **სედოვს** ლეონიდე ივანეს-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — ნაშრომებისათვის ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის დარგში, რაც დამთავრდა სტატიით „ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის ზოგიერთი საკითხი“, რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომებში“.

მესამე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **მიქელაძეს** შალვა ექვთიმეს-ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, — ნაშრომებისათვის მათემატიკური ანალიზის მიახლოვებული მეთოდების დარგში.

2. **სავინს** გური ნიკოლოზის-ძეს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობისა და ავტომატიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, — მეცნიერული შრომისათვის „ხვრეტილებიან ძაბვის კონცენტრაცია“, რომელიც გამოქვეყნდა 1951 წელს.

გ. ტექნიკის მეცნიერებათა დარგში

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **პოტაპოვს** მაკარ ვასილის-ძეს, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, — გამოკვლევებისათვის ჰიდროტექნიკისა და ჰიდრავლიკის დარგში, რომლებიც 1950 და 1951 წლებში გამოქვეყნდა სამტომად.

2. **სოკოლოვსკის** ვადიმ ვასილის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, — მეცნიერული შრომისათვის „პლასტიკურობის თეორია“, რომელიც გამოქვეყნდა მეორე გამოცემად 1950 წელს.

3. **შკოლნიკოვს** ვიქტორ სერგის-ძეს, საბუშაოთა ხელმძღვანელს, **ბალაშოვს** ვიქტორ პავლეს-ძეს, **ვვედენსკის** ბორის ალექსის-ძეს, აკადემიკოსს, **ვინოგრადოვს** ალექსანდრე ივანეს-ძეს, **გულიაევს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს, **მალინოვსკის** ბორის პეტრეს-ძეს, **მირიმანოვს** რუბენ გაის-ძეს, **ოსიპოვს** ნიკოლოზ ვასილის-ძეს, **შილეროვს** ბორის ალექსის-ძეს, — გამოკვლევებისათვის ტექნიკის დარგში.

მესამე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **ბოლტინსკის** ვასილ ნიკოლოზის-ძეს, მოსკოვის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის პროფესორს, — მონოგრაფიისათვის „დაუდგენელი დატვირთვისას ტრაქტორის ძრავის მუშაობა“, რომელიც გამოქვეყნდა 1949 წელს.

2. **ბრაუდეს** სიმონ იაკობის-ძეს, პროფესორს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ოსტროვსკის** ისაკ ერემიას-ძეს, **სანინს** ფოტი სერგის-ძეს, **ტურგენევს** ივანე სერგის-ძეს, **შამფაროვს** იაკობ ლევის-ძეს, ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, **ამოსოვს** ვლადიმერ ივანეს-ძეს, **არხიპოვს** სერგი ნიკოლოზის-ძეს, **ბახარევს** ალექსანდრე პეტრეს-ძეს, **ბეზუგლის** ივანე მათეს-ძეს, **გენკინს** აბრამ ლევის-ძეს, ინჟინრებს, — გამოკვლევებისათვის ტექნიკის დარგში.

3. **კაზანცევს** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს, პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკის პრობლემების მეცნიერული დამუშავების სექციის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **იგუმნოვს** ვასილ ივანეს-ძეს, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკს, — 1951 წელს დამთავრებული მეცნიერულ-გამოკვლევებისათვის რადიოკავშირგაბმულობის დარგში.

4. **კიდინს** ივანე ნიკოლოზის-ძეს, დოცენტს, ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის ფოლადის ინსტიტუტის დირექტორს, — მეცნიერული შრომისათვის „ინდუქციური გახურებისას ფოლადის თერმული დამუშავება“, რომელიც გამოქვეყნდა 1950 წელს.

5. **ნეიმანს** მიხეილ სამუელის-ძეს, მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ავიაციის ინსტიტუტის პროფესორს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „ზემაღალი სიხშირეების ტრიოდული და ტეტროდული გენერატორები“, რომელიც გამოქვეყნდა 1950 წელს.

6. **ორლინს** ანდრია სერგის-ძეს, არტილერიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორს, — 1950 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიისათვის „ორტაქტიანი მსუბუქი ძრავები“.

დ. ქიმიის მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. **პრეობრაჟენსკის** ნიკოლოზ ალექსის-ძეს, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორს, — 1950 წელს დამთავრებული მონოგრაფიისათვის „ალკალოიდების სინთეზის დარგში, რაც დამთავრდა სტატიებით, რომლებიც გამოქვეყნდა 1949-1951 წლებში ჟურნალებში: „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებანი“ და „ზოგადი ქიმიის ჟურნალი“.

2. **ჩერნიაევს** ილია ილიას-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ს. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორს, — გამოკვლევებისათვის კომპლექსური შენაერთების შიდა სფეროსა და სტერეოქიმიაში შენაცვლებათა რეაქციების დარგში, რაც ჩამოყალიბებულია სტატიების სერიაში, რომლებიც 1949 და 1951 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალებში: „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პლატინის სექტორის მოამბე“ და „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებანი“.

(გაგრძელება იქნება)

გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში

რესპუბლიკური თათბირი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების საკითხებზე

ამას წინათ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში გაიმართა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული რესპუბლიკური თათბირი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრების გამგეებმა და მასწავლებლებმა, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებმა და პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **რ. კვირკველიამ.**

მან ხაზგასმით აღნიშნა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც ბოლშევიკური პარტია, ამხანაგი სტალინი ანიჭებენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას, ჩვენი კადრების იდეოლოგიურ მომზადებას, ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას. კომუნისტური აღზრდის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი.

— ამხანაგი სტალინი გვასწავლის, — ამბობს ამხ. კვირკველია,—რომ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის ამოცანა, მასების კომუნისტური აღზრდის გაძლიერების, ყოვლისაძლე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პროპაგანდის გაფართოებისა და გაღრმავების ამოცანა ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანესი საქმეა.

პარტიამ და მთავრობამ ყველა პირობა შექმნეს იმისათვის, რომ ჩვენი კადრები, მოსწავლე ახალგაზრდობა წარმატებით დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისათვის.

საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების დონის ამაღლებაში, სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებაში უდიდესი როლი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე, შემოქმედებითმა დისკუსიებმა ფილოსოფიაში, ბიოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, ამხანაგ სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოსვლამ.

მეცნიერ მუშაკების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების წინაშე დასახულია ამოცანა გადაჭრით იბრძოლონ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. საჭიროა განუწყვეტლივ ვამხილოთ თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული, იდეალისტური, რასისტული თეორიები — ოდეოლოგიური იარაღი ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა ხელში, რომლებიც ცდილობენ მოწამლონ მუშათა კლასის შეგნება, მოადუნონ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ხალხების ნებისყოფა, ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ უმაღლეს სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას ყოველდღიურ ყურადღებას უნდა აქცევდნენ და კონტროლს უნდა უწევდნენ პარტიული ორგანიზაციები.

ასრულებენ რა ამ მითითებებს, პარტიული ორგანიზაციების დახმარებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოებრივ-მეცნიერებათა სწავლება.

მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრების მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. მთელ რიგ შემთხვევებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება წარმოებს დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე, დოგმატურად, მედავითნურად, კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან დაუკავშირებლად.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაკების ამოცანები დიდი და პასუხსაგებია. პარტია მოითხოვს გადაჭრით ამაღლდეს საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების დონე, გაჩაღდეს რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ შემტევი კრიტიკა, გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

მოხსენება „რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგემ ამხ. **პ. გუჯაბიძემ.**

— კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, — ამბობს იგი,—მშრომელი მასების აღზრდა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრების სულისკვეთებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, მშრომელთა იდეოლოგიური აღზრდისათვის მუშაობა წლითიწლობით სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს.

საბჭოთა მეცნიერება მილიონობით საბჭოთა ადამიანის კუთვნილებაა. მრავალი უმაღლესი სასწავლებელი ჩვენში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის ახალგაზრდა, იდეურად კარგად მომზადებული და გამოწრთობილი კადრების სამჭედლო გახდა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ ორგანიზაციებს, მეცნიერ მუშაკებსა და მასწავლებლებს პასუხსაგები ამოცანები დაუსახა. უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობა გამსჭვალული უნდა იყოს მაღალი იდეურობისათვის, ბოლშევიკური პარტიულობისათვის ბრძოლით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლით. იგი უნდა განისაზღვრებოდეს კომუნიზმის სულისკვეთებით საბჭოთა სტუდენტების აღზრდის ამოცანებით.

იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება. ამის შედეგად ამ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონე, გაუმჯობესდა კათედრების მუშაობა. უფრო შინაარსიანია ლექციები. უკეთ ეწყობა სემინარული მეცადინეობა. სერიოზული მუშაობაა გაწეული საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისსა და ქუთაისში უმაღლესი სასწავლებლების მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მასწავლებლებისათვის შექმნილ მუდმივმოქმედ სემინარებს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტთა ინტერესი საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლისადმი, გაუმჯობესდა მათი წარმატება ამ დისციპლინებში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრამ (კათედრის ხელმძღვანელი პროფესორი ბურჭულაძე). აქ სისტემატურად ამოწმებენ ლექტორთა მუშაობას, სერიოზულ დახმარებას უწევენ მათ. კათედრაზე შემოღებულია ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის სტენოგრაფიული ჩაწერა და განხილვა, ახალგაზრდა ლექტორთა კონსულტაციის გარჩევა. ინსტიტუტში ხშირად ეწყობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გაერთიანებული სხდომები, თეორიული კონფერენციები, ლექტორთა მეცნიერული ნაშრომების განხილვა.

ცუდად როდი მუშაობენ აგრეთვე საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, გორისა და სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრები, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრები და სხვ.

მაგრამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების, მათი კათედრების მუშაობის გარდაქმნის საქმეში ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. ჯერ კიდევ ყველა უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებს, კათედრების გამგეებს, პარტიულ ორგანიზაციებს როდი გაუკეთებიათ ყველა საჭირო დასკვნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებიდან უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის მნიშვნელოვანი წილი ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე ჯერ კიდევ დაბალია. ლექციებში საკმაოდ არ არის განმარტებული ძირითადი იდეები, რომლებსაც საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა ნაწარმოებნი შეიცავენ, ჯეროვნად არ არის გაშუქებული წინააღმდეგობა ბურჟუაზიულ და პროლეტარულ მსოფლმხედველობას შორის, არ არის თანამედროვე ბურჟუაზიული რეაქციული თეორიების კრიტიკა, საკმაოდ არ არის ნაჩვენები საბჭოთა სოციალისტური წყობილების უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე. სემინარული მეცადინეობა ზოგჯერ ეწყობა ფორმალურად, სკოლარული მეთოდით, რაც ხელს უშლის მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი სტუდენტთა სერიოზული დამოკიდებულების დანერგვას.

ჯერ კიდევ ყველა კათედრის მასწავლებელსა და ხელმძღვანელს როდი შეუგნია, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლაში ლექციების მაღალ იდეურ-თეორიულ დონეს. ზოგიერთი მასწავლებელი თავის ლექციებში არ იძლევა ისტორიული მოვლენების ღრმა ანალიზს, სუსტად უკავშირებს მათ შინაარსს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ლექციების დაბალ იდეურ-თეორიულ დონეს, ცალკეულ მასწავლებელთა სუსტ მომზადებას (სუხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის ლექტორი ამხ. ხუბუტია, სამედიცინო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრის დოცენტი ამხ. ვართანიანი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი ტატიშვილი და სხვ.).

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ბევრი ლექტორი არ იყენებს თანამედროვე ბუნებისმეტყველების მიღწევებს, სჯერდება წარსული საუკუნის მაგალითებს. ისინი არ აკრიტიკებენ თანამედროვე ბურჟუაზიული რეაქციონერი იდეალისტი ფილოსოფოსების შეხედულებებს (დოცენტები ონიანი, თავაძე, აქბარდია და სხვ.).

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სემინარულ მეცადინეობას. აწყობს და წარმართავს რა სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას, სემინარმა უნდა გაიღრმაოს მათი ცოდნა. ამავე დროს იგი წარმოადგენს ცოდნის შემოწმების ერთ-ერთ ფორმას. მაგრამ ზოგიერთი კათედრის ხელმძღვანელი და ლექტორები ჯეროვნად ვერ აფასებენ სემინარული მეცადინეობის მნიშვნელობას და ხშირად ამ მეცადინეობის ხელმძღვანელობას გამოუცდელ ასისტენტებს ანდობენ.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გულმოდგინე მუშაობა ლექციების ენის გასაუმჯობესებლად, მასალის ნათლად გადასაცემად.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლექტორთა მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებას. ამავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა 145 მასწავლებელს დღემდე არ დაუცავს დისერტაცია და არა აქვს სამეცნიერო ხარისხი, თუმცა ბევრმა მათგანმა უკვე დიდი ხანია დაამთავრა ასპირანტურა და ლექტორის მუშაობის საკმაო სტაჟი აქვს (ამხანაგები კობიძე, გოგუაძე, ხოფერია, ბასილაია, გეგეშიძე, გაბილაია, მარგოლინი, პორტნოი და სხვ.).

არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კადრების მომზადებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ასპირანტურის კურსი დაამთავრა 39 კაცმა. აქედან მხოლოდ 10 კაცმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ისიც დიდი დაგვიანებით.

უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესება მოითხოვს ყოველდღიურ კონტროლს ლექციების ხარისხისადმი. ამაში დიდი მნიშვნელობა აქვს ლექციების სისტემატურ სტენოგრაფიულ ჩაწერასა და განხილვას. მაგრამ ამას ჯერ კიდევ არ ექცევა საჭირო ყურადღება.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა განუწყვეტლივ უნდა გააფართოონ კავშირი ცხოვრებასთან, წარმოებასთან, განაზოგადონ მოწინავე გამოცდილება, ყოველნაირად დაეხმარონ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვას. ყოველმხრივ მისასალმებელია თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის თაოსნობა, რომელმაც მჭიდრო კავშირი დაამყარა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე სამეცნიერო-კვლევითის მუშაობას. ამ მუშაობის მნიშვნელობის შეუფასებლობა დიდი ხანია დაგმო პარტიამ. ამავე დროს მთელი რიგი კათედრების ხელმძღვანელებს დღემდე მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრის (კათედრის ხელმძღვანელი ამხ. გორგილაძე) 24 წევრიდან სამეცნიერო ნაშრომები წელს მხოლოდ ოთხმა კაცმა წარმოადგინა. სუსტად წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უცხო ენათა ინსტიტუტის, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის, ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის და სხვ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე.

უნდა გავაძლიეროთ სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა, უფრო გაბედულად ჩავაბათ სტუდენტები მეცნიერულ მუშაობაში, უფრო ფართოდ შემოვიღოთ პრაქტიკაში სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომების ბეჭდვა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო შრომებში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის გაუმჯობესებაში, მათ მიერ შეძენილი ძვირფასი გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოებს. მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში სამეცნიერო საბჭოებს ერთხელაც არ განუხილავთ მათი მუშაობა.

რესპუბლიკური და საოლქო გაზეთები უფრო მტკიცედ უნდა იბრძოლონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად ბეჭდავდნენ მასალებს კათედრების მუშაობის შესახებ, თეორიულ სტატიებს, საუკეთესო ლექციების სტენოგრამებს, რეცენზიებსა და სტატიებს მეთოდოლოგიურ საკითხებზე.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

მათი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს სტუდენტთა და მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხები. პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად უნდა სწვდებოდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის საკითხებს, უფრო მომთხოვნელად ეპყრობოდნენ კომუნისტებს, განუწყვეტლივ ამაღლებდნენ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით ახალგაზრდობის შეიარაღების დონეს.

უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების მუშაობისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიის რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებს, ისინი მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით აამაღლონ უმაღლესი სასწავლებლების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობას, მიაღწიონ უმაღლესი სასწავლებლების მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებები აქვს მუშაობაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილებას.

მოხსენების დასასრულ ამხ. გუჯაბიძემ თქვა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები, პარტიული ორგანიზაციები, იხელმძღვანელებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე, გადაჭრით გაუმჯობესებენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას, ისინი მთელ ძალღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული, იდეურად მომზადებული ახალგაზრდა კადრების აღზრდის საპატიო ამოცანა.

მოხსენების გამო გაცხრელებული კამათი გაიმართა. აღნიშნეს რა საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების საქმეში მიღწეული ზოგიერთი წარმატება, თათბირის მონაწილეებმა კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე გამოავლინეს სერიოზული ნაკლოვანებანი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, პარტიული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობაში, დასახეს სპეციალისტთა ახალგაზრდა კადრების კომუნისტური აღზრდისათვის მთელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტმა ამხ. **ს. ინწკირველმა** აღძრა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ.

—ბევრმა კათედრამ, — ამბობს იგი, —საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძვირფასი გამოცდილება შეიძინა. მაგრამ ხშირად ამ გამოცდილებას არ განაზოგადებენ და არ ავრცელებენ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს მჭიდრო ურთიერთკავშირი, ძვირფასი გამოცდილების გავრცელება საშუალებას მოგვცემს საგრძნობლად გავაუმჯობესოთ სწავლება, შემდგომ წარმატებებს მივაღწიოთ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში.

თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ ამხ. **ა. ფაცურიამ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის კონტროლის გაწევას.

— საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები, — ამბობს იგი,—გულმოდგინედ უნდა აჩვევდნენ სტუდენტებს დამოუკიდებლად მუშაობას, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მათ დასამუშავებელი თემების დაგეგმვასა და შერჩევაში. ამ საქმეს დიდი დახმარება უნდა გაუწიოს კარგად დაყენებულმა სემინარულმა მეცადინეობამ და სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა.

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **ა. ხარაძემ** დამსწრეთ უამბო ზოგიერთ წარმატებაზე, რასაც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრამ მიაღწია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების საქმეში. ეს ინსტიტუტის ერთ-ერთი მოწინავე კათედრაა. ამავე დროს ამხ. ხარაძემ აღნიშნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვაში, ცალკეული ლექციების დაბალი დონე. მთელ რიგ მასწავლებელთა ლექციები შეიცავს დაუდევარ, არაზუსტ ფორმულებს, რაც ცალკეულ შემთხვევებში აზრის დამახინჯებას იწვევს.

—ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე, —თქვა მან,—დასმულია ამოცანა უზრუნველყოს იმ ლექციების უფრო მაღალი იდეური დონე, რომლებიც საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე იკითხება.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მასწავლებელთა მხრივ ბუნებისმეტყველების ცოდნის გაფართოებას. საზოგადოებრივ დისციპლინებში წაკითხულ ლექციებში საჭიროა ფართოდ შექმდებოდეს საბჭოთა ბუნებისმეტყველების — მიჩურინული ბიოლოგიის, პავლოვური ფიზიოლოგიის მიღწევები.

—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრაზე ლექციების განხილვა, — თქვა კათედრის ლექტორმა ამხ. **შ. ადამიამ,** იწყობა არარეგულარულად, როგორც შემთხვევა მოიტანს, და ხშირად ფორმალური ხასიათისაა. კათედრას ყოველგვარი პირობა მოეპოვება, რომ სანიმუშო გახდეს საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლისათვის. ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა კათედრის მუშაკებს დაეხმარება მიაღწიონ მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების მკვეთრად გაუმჯობესებას.

ლექციების იდეური დონის ამაღლებისათვის ბრძოლას მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრის გამგემ ამხ. **ს. სიმონგულოვმა.** აქ ხშირად ეწყობა ლექციების სტენოგრაფიული ჩაწერა და განხილვა. მაგრამ ეს განხილვა ყოველთვის როდი მიმდინარეობს მაღალ იდეურ დონეზე. მისი მონაწილენი სჯერდებიან წვრილმანი საკითხების აღნიშვნას, ამავე დროს ავიწყდებათ მთავარი — ლექციების იდეური შინაარსი, ძირითადი თემის ყოველმხრივ დამუშავება.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვა კათედრების მუშაობაში.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრა მონაწილეობს ინსტიტუტის სხვა კათედრების მიერ გამოცემული სახელმძღვანელოებისა და შრომების განხილვაში. მაგალითად, კათედრის ოუმაკების დახმარებით გამომქღავნებულ იქნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი დოცენტ კერესელიძის შრომაში „დეკორაციული მებაღეობა“. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მასწავლებლებმა მომაზადეს მოხსენებანი „მარქსიზმ-ლენინიზმი მიჩურინული ბიოლოგიის თეორიული საფუძველია“, „აკადემიკოს პავლოვის მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლები“ და სხვ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე **ა. ჭუთელია** თავის გამოსვლაში შეეხო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. მან მოიყვანა მაგალითები, რომ ზოგიერთი მასწავლებელი, რომელმაც ათი-თხუთმეტი წლის წინათ დაწერა საკანდიდატო დისერტაცია, მას შემდეგ არ დაბრუნებია სამეცნიერო მუშაობას. მასწავლებლების მოწყვეტა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისაგან იწვევს ლექტორის კვალიფიკაციის დაქვეითებას, მისი ლექციების იდეური დონისა და შინაარსის შესუსტებას. თუ კათედრებზე არ წარმოებს კარგად ორგანიზებული სამეცნიერო მუშაობა, შეუძლებელია მეცნიერ-მასწავლებელთა კადრების ჯეროვანი მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

მაგრამ ამხ. ჭუთელიას გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა თათბირის მონაწილენი. მან დუმილით აუარა გვერდი სერიოზულ ნაკლოვანებებს იმ კათედრის მუშაობაში, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს.

უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნაკლოვანებანი აღნიშნა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრის გამგემ ამხ. **ნ. ცხაკაიამ.**

—ერთი შეხედვით, — თქვა მან, — კათედრას ეს საქმე კარგად აქვს დაყენებული. აქ ყოველ წელს ადგენენ და ამტკიცებენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებს, თითქოს მათს შესრულებასაც ამოწმებენ და წლის ბოლოს შედეგებს აჯამებენ. მაგრამ ყოველივე ამას ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს. ნაკლები ყურადღება ექცევა უმთავრესს—სამეცნიერო ნაშრომთა განხილვას და გამოცემას.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ ამხ. **ი. ბაჯაძემ** ილაპარაკა იმაზე, თუ რა მუშაობა შეასრულა კათედრამ მთელი რიგი იმ საკითხების შესასწავლად და დასამუშავებლად, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის გენიალურ შრომასთან „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. კათედრის კოლექტივი სწავლობს სოციალისტური ეკონომიკის მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც წამოაყენა კომუნიზმის დიადმა მშენებლობებმა.

ამხ. ბაჯაძემ აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმები მთელ რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება პოლიტიკური ეკონომიის პროგრამებს. საჭიროა გადათვალიერებულ იქნას ეს პროგრამები, რომლებშიც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე ბურჟუაზიული რეაქციული თეორიების კრიტიკას.

თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრის დოცენტმა ამხ. **მ. ცერცვაძემ** მოიყვანა ფაქტები, რომ გამოუცდელ ასისტენტებს ავალებენ სემინარული მეცადინეობის ხელმძღვანელობას. იგი აღნიშნავს, რომ ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია არ იღებს საჭირო ღონისძიებებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

მეცნიერი მუშაკების მიერ საკოლმეურნეო წარმოების შესწავლის გამოცდილებაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ ამხ. **ს. ქუთათელაძემ.** მეცნიერმა მუშაკებმა ფრიადოსან სტუდენტებთან ერთად მოაწყეს ქობულეთის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის ეკონომიკის კომპლექსური შესწავლა. ამ მუშაობის შედეგები განხილულ იქნა სამეცნიერო კონფერენციაზე კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობით.

სუხუმის ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **რ. წულუკიძემ** შეიტანა წინადადება, უფრო ფართოდ დაინერგოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გაერთიანებული სხდომები ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიის კათედრებთან. მან აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები შეივსო ახალგაზრდა მასწავლებელთა კადრებით. საჭიროა მათ ყოველდღიურად გაეწიოთ დახმარება შემდგომ იდეურ - თეორიულ ზრდაში, მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა ამხ. **გ. ინწკირველმა** თავის გამოსვლაში დამსწრეთ უამბო, როგორ იბრძვის უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესებისათვის. კომუნისტებმა, რომლებიც ავანგარდულ როლს ასრულებენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში, მიაღწიეს საზოგადოებრივ მეცნიერებაში სტუდენტთა წარმატების საერთო ამაღლებას. გამოცოცხლდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა. მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ ვერ უზრუნველყო სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მტკიცედ გაუმჯობესება. პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის როდი აქცევს ჯეროვან ყურადღებას საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, ლექციების იდეურ-თეორიული და მეცნიერული დონის ამაღლებისათვის ბრძოლის საკითხებს. დღემდე არა ჩანს მისი მაორგანიზებელი როლი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლაში, შემოქმედებითი დისკუსიების, თეორიული კონფერენციების მოწყობაში.

რესპუბლიკის უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი—უნივერსიტეტის კომუნისტები ყოველ ღონეს იხმარენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ყოველ ღონისძიებას მიიღებენ, რ

გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში

გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების საქმიანობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. პ. **გუგუშვილმა** აღნიშნა, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი რგოლია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ეკონომიკის ინსტიტუტი ამზადებს სამეცნიერო კადრებს. ამ უკანასკნელ წლებში აქ მომზადებულია 17 კაცი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ინსტიტუტის მუშაობას ძალიან უშლის ხელს ის, რომ მას არა აქვს პოლიტიკური ეკონომიის განყოფილება. ცუდად არის დაყენებული სამეცნიერო შრომების გამოცემის საქმე, რის შედეგად სადოქტორო დისერტაციებიც კი ხშირად გამოუქვეყნებელი რჩება. ამხ. გუგუშვილი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა გამოიცეს ანოტირებული ბიბლიოგრაფიები სადისერტაციო შრომების შესახებ. უამისოდ ძვირფასი სამეცნიერო ნაშრომების არსებობა არავინ იცის. ბევრი სადისერტაციო შრომა იმეორებს ერთიმეორეს. საჭიროა მიღწეულ იქნას სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების თემატიკის მეტი მრავალფეროვნება.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. **ნ. კეცხოველმა** განაცხადა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის კრიტიკა, რაც ამ თათბირზე გაიშალა, დაეხმარება უნივერსიტეტს რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას ნაკლოვანებანი, გაუმჯობესოს ამ დისციპლინების სწავლების ხარისხი. მან ილაპარაკა იმაზე, რომ უნივერსიტეტში მალე მოგვარდება ყოველდღიური კონტროლი და დახმარება საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლექტორებისადმი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა გულდასმით შესწავლაში სერიოზული როლი უნდა შეასრულონ სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა. მაგრამ კათედრები და ლექტორები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მათს მუშაობას.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მთელი ენერგიით იბრძოლებენ სასწავლო პროცესის იდეურ-თეორიული დონის განუწყვეტლივ ამაღლებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. **ვ. ტოგონიძემ** აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლების ხარისხი საქართველოს პედაგოგიურ ინსტიტუტებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საზოგადოებრივ მეცნიერებებში სტუდენტთა საერთო წარმატება 97,6 პროცენტს შეადგენს. ამასთანავე მან აღიარა, რომ სერიოზულ ნაკლოვანებებია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხრივ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ხელმძღვანელობის საქმეში. სამინისტრო სუსტად სწვდება კათედრების მუშაობის შინაარსს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს საუკეთესო ლექტორთა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისა და სემინარების ხელმძღვანელთა გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას. სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე არ ხდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ძირითადი საკითხების განხილვა.

მთელ რიგ პედაგოგიურ ინსტიტუტებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საქართველოს ისტორიის სწავლება. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ს. მაკალათია, ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის დოცენტი ი. ახალაია თავიანთ ლექციებში ისტორიულ მოვლენებს ზეგრელად აშუქებენ, უხეშ შეცდომებს უშვებენ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის დოცენტმა ამხ. **ა. თავაძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლექტორის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები ჩაუნერგოს სტუდენტებს. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა უნივერსიტეტის სტუდენტები მარტო ლექციების კონსპექტების მიხედვით აბარებენ საგანს. საჭიროა მტკიცედ გაძლიეროთ სტუდენტებისადმი მომთხოვნელობა, მივაღწიოთ იმას, რომ სტუდენტები გულმოდგინედ სწავლობდნენ პირველწყაროებს, სერიოზულად მუშაობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე.

თათბირის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ბ. ნანიტაშვილმა.**

ამხ. ნანიტაშვილმა აღნიშნა, რომ ეს თათბირი სერიოზულ როლს შეასრულებს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

თათბირის მონაწილეებმა სწორად დაახასიათეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობა. აღნიშნულ იქნა მნიშვნელოვანი მიღწევები ამ საქმეში. დიდი ყურადღება მიექცა ნაკლოვანებათა კრიტიკას. და ეს გასაგებიც არის. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონე ბევრ შემთხვევაში არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, იმ ამოცანებს, რომლებსაც ბოლშევიკური პარტია, ამხანაგი სტალინი გვიხასნავენ. თუ არ გამოვამჟღავნეთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების საქმეში შეცდომები და ნაკლოვანებანი, ჩვენ ვერ ავამაღლებთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლებას დონეს, გადაჭრით ვერ გავაუმჯობესებთ საბჭოთა სტუდენტობის იდეურ აღზრდას.

მაგრამ თუ თათბირის მონაწილეებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს ნაკლოვანებათა კრიტიკას, ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში ჩვენ არა გვაქვს გარკვეული წარმატებები. ფაქტია, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები უშვებენ საკმაოდ მომზადებულ კადრებს, რომლებიც დაუფლებული არიან არა მარტო თავიანთ სპეციალობას, არამედ აგრეთვე სერიოზული მარქსისტულ - ლენინური მომზადება აქვთ. ფაქტია, რომ ჩვენი უმაღლესი სკოლების მიერ გამოშვებული კადრების მეტი ნაწილი კარგად ასრულებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებებს, ერთგულად და მთელი ენერგიით ემსახურება ხალხს, კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტების აღზრდაში დიდი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებს.

პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ ჩვენი სტუდენტობის აღმზრდელთა შრომას და ყოველგვარ პირობას უქმნიან მათ ნაყოფიერი მუშაობისათვის.

სამწუხაროდ უმაღლესი სკოლების ყველა მუშაკი როდი იყენებს ჯეროვნად ამ შესანიშნავ პირობებს. ამას ცხადყოფს ჩვენი თათბირის მასალები.

როგორც ვიცით, სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური მომზადების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლექციებსა და სემინარებს. მაგრამ ხშირად საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები ლექციებს კითხულობენ და სემინარებს ხელმძღვანელობენ დაბალი დონით. მედაკითხურად, თალმუდისტურად; ლექციებში ზოგჯერ არ არის მიზანდასახულობა, შინაგანი კავშირი, საკმაოდ არ არის გაშუქებული ბურჟუაზიული და სოციალისტური მსოფლმხედველობის ძირეული განსხვავება, ნაჩვენები არ არის მარქსისტულ-ლენინური თეორიის დიადი გარდამქნელი მნიშვნელობა.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანა — გადაჭრით გავაუმჯობესოთ ლექციებისა და სემინარების ხარისხი.

რა არის ამისათვის საჭირო?

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ავაამაღლოთ ლექტორების პასუხისმგებლობა თვითეული ლექციისათვის, თვითეული სემინარისათვის მომზადების საქმეში. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს ჰყავთ კვალიფიციური ლექტორთა მრავალრიცხოვანი კადრები. მათ საკმაო დრო აქვთ, რომ კარგად მოემზადონ მეცადინეობისათვის. და თუ ისინი იმუშავებენ ისე, როგორც ბოლშევიკს შეჰფერის, მიაღწევენ სწავლების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას, უზრუნველყოფენ, რომ თვითეული ლექცია იყოს მაღალიდეური, დიდად შინაარსიანი და საინტერესო.

მეორე, საჭიროა, რომ ჩვენი ლექტორთა კადრები დაუცხრომლად მუშაობდნენ თავიანთი ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, მეცნიერულ-პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ისინი მოვალენი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის, რომ ბევრ ჩვენს ცნობილ ლექტორს ჯერ კიდევ არ დაუცავს დისერტაცია. ლექტორები, რომლებიც თვალყურს არ ადევნებენ საბჭოთა მეცნიერების განუწყვეტელ ზრდასა და მიღწევებს, აუცილებლად ჩამორჩებიან ცხოვრებას და ვერ შეძლებენ მაღალ იდეურ დონეზე ასწავლონ საგანი.

მესამე, საჭიროა გაძლიერდეს კათედრების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა თვითეული ლექტორის, სემინარის თვითეული ხელმძღვანელის მუშაობისათვის. ისინი სისტემატურად უნდა ამოწმებდნენ ლექციებისა და სემინარების ხარისხს, ესწრებოდნენ მათ, უზრუნველყოფდნენ მათს სტენოგრაფიულად ჩაწერას, აწყობდნენ მათს შემოქმედებითს განხილვას. დროზე უნდა გამომაქღაურნონ და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სწავლების პროცესში. კათედრები მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, ჩააბან სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში, კონტროლი გაუწიონ და წარმართონ მათი მუშაობა.

მეოთხე, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა და გააძლიერონ დახმარება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისა და მასწავლებლებისადმი, უფრო ხშირად შეამოწმონ კათედრებისა და ცალკეული ლექტორების მუშაობა, განაზოგადონ დადებითი გამოცდილება, გამოავლინონ და გამოასწორონ ნაკლოვანებანი, მიაღწიონ მასწავლებელთა შემადგენლობის გაუმჯობესებას.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას. ჩვენში ჯერ კიდევ შეხვდებით ადამიანებს, რომლებსაც ეშინიათ სიმართლის პირში თქმა, ლიბერალურად ეკიდებიან ერთმანეთს. არის შემთხვევები, რომ მეტად სუსტი ლექციების სტენოგრამების შესახებ, მეგობრული ურთიერთობის გამო, დადებითი რეცენზიები იწერება. უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადაჭრით აღმოფხვრან ასეთი ლიბერალური, შინაურული ურთიერთობა მასწავლებლებს შორის, გააჩაღონ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესონ სტუდენტთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის:

„კადრების დანდობა და შენარჩუნება მათი შეცდომების მიჩქმალვის შეძწეობით ნიშნავს თვით ამ კადრების აუცილებლად დაღუპვას... ვინც ფიქრობს ჩვენი კადრების თავმოყვარეობის დანდობას მათი შეცდომების მიჩქმალვის გზით, იგი ღუპავს კადრებსაც, კადრების თავმოყვარეობასაც, ვინაიდან მათი შეცდომების მიჩქმალვით აადვილებს ახალ, შეიძლება უფრო სერიოზულ შეცდომათა განმეორებას, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, მიგვიყვანს კადრების სრულ მარცხამდე მათი „თავმოყვარეობისა“ და „სიმშვიდის“ საზიანოდ“.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს და ვახორციელებდეთ დიდი სტალინის ამ ბრძნულ მითითებას.

თუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები მომთხოვნელი იქნებიან თავისი თავისადმი, თუ კათედრების ხელმძღვანელები, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები გააუმჯობესებენ კონტროლს და გააძლიერებენ დახმარებას ლექტორებისადმი, თუ უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგებიან კრიტიკას და თვითკრიტიკას მასწავლებელთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა მთელ კოლექტივში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ლექციებისა და სემინარების იდეურ-პოლიტიკური დონე დიდად ამაღლდება, სტუდენტებს კიდევ უფრო შეუყვარდებათ საგნები და უფრო გულმოდგინედ შეისწავლიან მათ, უკეთ დაეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები კომუნისტური საზოგადოების უფრო სრულფასოვან მშენებლებს მისცემენ სამშობლოს.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით, ახალ წარმატებებს მიაღწევენ საბჭოთა სტუდენტობის მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში.

• • •

თათბირმა დასახა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გადაჭრით ვაუმჯობესება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის, ქუთაისის, აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტების მდივნებმა ამხანაგებმა ა. გიგოშვილმა, გ. ფოფხაძემ ვ. მელქაძემ, მ. კუბლაშვილმა, ი. ტუსკაძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგემ ამხ. პ. რატიანმა, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჯიბლაძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ამხ. ვ. მამალაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. დოლიძემ, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ამხ. ა. ჯიშიაშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საქდესი).

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

კვადრატულ-ბუდობრივი თესვის მექანიზაციის წარმოებაში ფართოდ დანერგვის მიზნით ამ დღეებში აბაშის მტს-ში მოეწყო ხუთდღიანი სემინარი კვადრატულ-ბუდობრივი სათესი მანქანის „სშ-6“ წარმოებაში დანერგვის საკითხებზე. სემინარს დაესწრნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქუთაისის ოლქის რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა უფროსი აგრონომები, მტს-ბის უფროსი ინჟინრები, აგრონომები და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსები.

სემინარზე ლექციები წაიკითხეს ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტმა სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატმა ა. ჯაფარიძემ, ტექნიკური მეცნიერების კანდიდატმა ვ. დოლიძემ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა, უფროსმა ინჟინერმა ვ. რევაზიშვილმა.

სემინარის მონაწილენი პრაქტიკულად გაეცნენ კვადრატულ-ბუდობრივ სათეს მანქანას და აწარმოეს სიმინდის თესვა.

ასეთივე სემინარი ეწყობა წნორის, გორისა და დიღმის მტს-ებში.

შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალური ნაწარმოები

(ვ. ი. ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?“ გამოცემის 50 წლისთავის გამო)

50 წლის წინათ, 1902 წლის 14 მარტს გამოვიდა ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომი „რა ვაკეთოთ?“. ეს იყო პერიოდი, როდესაც კაპიტალიზმი გადაიზარდა თავისი განვითარების უმაღლეს სტადიაში — იმპერიალიზმში. იმპერიალიზმის პირობებში კაპიტალიზმის წინააღმდეგობებმა უკიდურეს წერტილს მიაღწია. XIX საუკუნის დამლევს ევროპაში სამრეწველო კრიზისი გაჩაღდა. მალე ეს კრიზისი რუსეთსაც მოედო. სამრეწველო კრიზისის შედეგად კიდევ უფრო გაუარესდა მშრომელთა მდგომარეობა და გაძლიერდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა. ამ პერიოდში უკვე აშკარა გახდა, რომ რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან რუსეთში გადმოინაცვლა. კლასობრივი ბრძოლის ახალი პირობები მუშათა კლასის წინაშე აყენებდა ახალ ამოცანებს, რომელთა შორის მთავარი და არსებითი იყო რევოლუციური პროლეტარული პარტიის დაარსება, მარქსისტული ახალი ტიპის პარტიის ჩამოყალიბება.

როგორც ცნობილია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველმა ყრილობამ ვერ შეძლო ერთიანი მუშათა რევოლუციური მარქსისტული პარტიის ჩამოყალიბება. პირველი ყრილობის შემდეგ რუსეთში გაბნეულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ერთიანი პროგრამა და ტაქტიკა, არ ჰყავდათ ერთიანი ხელმძღვანელობა. I ყრილობის შემდეგ იდეური და ორგანიზაციული დაბნეულობა კიდევ უფრო გაძლიერდა. რაკი ძლიერი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობა არ ჰყავდა, მუშათა მოძრაობა სტიქიური ბრძოლის ფარგლებს ვერ სცილდებოდა. აუცილებელი იყო დაქსაქსულობისა და იდეური უთავბოლობის ლიკვიდაცია, ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამორჩენილობისა და ვიწრო პრაქტიციზმის დაძლევა.

ამ პერიოდში რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარებისა და ნამდვილი მარქსისტული პარტიის ჩამოყალიბებისათვის, ყველაზე საშიშ მტერს წარმოადგენდა „ეკონომიზმი“. „ეკონომისტები“ იბრძოდნენ რევოლუციური მარქსიზმის წინააღმდეგ. ისინი იმავე შეხედულებებს ქადაგებდნენ რუსეთში, რასაც რევიზიონისტები დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიაში. „ეკონომისტები“ წინააღმდეგი იყვნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნისა, უარყოფდნენ პარტიის ავანგარდულ როლს მუშათა მოძრაობაში. მათი აზრით, მუშათა კლასს არ უნდა ეწარმოებინა პოლიტიკური ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ. მუშები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ ეკონომიური ბრძოლით. „ეკონომისტები“ ქედს იხრიდნენ მუშათა კლასის სტიქიური ბრძოლის წინაშე, უარყოფდნენ მარქსისტულ მოძღვრებას მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარეგან შეტანის შესახებ.

იდეური და ორგანიზაციული დაბნეულობის ლიკვიდაციისათვის და პროლეტარიატის ერთიანი პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა „ეკონომიზმის“ განადგურება. ეს დიდი ამოცანა შეასრულა ვ. ი. ლენინმა თავის განთქმულ წიგნში „რა ვაკეთოთ?“, მაგრამ მხოლოდ „ეკონომიზმის“ განადგურებით არ ამოიწურება ამ წიგნის მნიშვნელობა. ლენინის ამ შრომის ყველაზე ღრმა და ყოველმხრივი შეფასება მოგვცა ამხანაგმა სტალინმა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში. ამხანაგი სტალინი წერს:

„წიგნის „რა ვაკეთოთ?“ ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ლენინმა თავის ამ განთქმულ წიგნში:

1) მარქსისტული აზროვნების ისტორიაში პირველმა გააშიშვლა ფესვებამდე ოპორტუნიზმის იდეური სათავეები, გვიჩვენა რომ ისინი უწინარეს ყოვლისა მდგომარეობენ ქედის მოხრაში მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე და მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების როლის დამცირებაში;

2) მაღლა აიყვანა მნიშვნელობა თეორიისა, შეგნებულობისა, პარტიისა, როგორც სტიქიური მუშათა მოძრაობის გამარეოლუციურებელი და ხელმძღვანელი ძალისა;

3) ბრწყინვალედ დაასაბუთა ძირითადი მარქსისტული დებულება, რომელიც ამბობს, რომ მარქსისტული პარტია არის მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან;

4) მოგვცა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ საფუძველთა გენიალური დამუშავება“.

ლენინის ამ გენიალურ ნაშრომზე აღიზარდნენ რუსეთის რევოლუციონერთა მთელი თაობები. ლენინის უკვდავმა რევოლუციურმა იდეებმა ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიიყვანა რუსეთის პროლეტარიატი. ლენინის ეს შრომა ცოდნისა და გამოცდილების უმდიდრესი მარაგით ასაზრდოებს კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს მათს ბრძოლაში რეაქციული იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

როცა ლენინი ანადგურებდა „ეკონომიზმს“ რუსეთის მუშათა მოძრაობაში და ამუშავებდა იდეოლოგიურ საფუძვლებს მარქსისტული პარტიის ასაგებად, ამ პერიოდში ამხანაგი სტალინი დაუღალავ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში, მტკიცედ იცავდა და ავითარებდა ლენინური „ისკრის“ პრინციპებს. 1901 წელს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოვიდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინურ-ისკრული ჯგუფის არალეგალური ორგანო გაზეთი „ბრძოლა“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ოპორტუნისტების განადგურებისა და მასების რევოლუციურ მარქსისტულ იდეებზე აღზრდის საქმეში.

ლენინი და სტალინი ამხილებდნენ ოპორტუნისტების ყალბ შეხედულებებს და განუმარტავდნენ პროლეტარიატს, რომ ექსპლოატაციის მოსპობა და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შეიძლება არა სტიქიური ბრძოლისა და რეფორმების გზით, არა კლასობრივი თანამშრომლობის გზით, როგორც ამას ოპორტუნისტები ქადაგებდნენ, არამედ მასების შეგნებული მოქმედების გზით, ექსპლოატატორული კლასების ძალდატანებითი დამხობის გზით. პროლეტარიატს შეუძლია წარმატებით აწარმოოს ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით შეიარაღებული რევოლუციური მარქსისტული პარტია.

ლენინმა და სტალინმა გვიჩვენეს, რომ სოციალისტური შეგნება წარმოიშობა არა მუშათა სტიქიური ბრძოლიდან, როგორც „ეკონომისტები“ ამტკიცებდნენ, არამედ მეცნიერებიდან.

მუშათა კლასის გენიალურმა ბელადებმა მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს. ენგელსი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად იქცა, საჭიროა მისი ფართოდ დანერგვა და გავრცელება მუშათა მასებში. მარქსი და ენგელსი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მუშათა მასების თეორიული დონის ამაღლებას „...დაჩაგრული კლასისათვის მისი საკუთარი საქმის პირობებისა და ბუნების გამორკვევა, — წერდა ენგელსი,—ასეთია ამოცანა მეცნიერული სოციალიზმისა, რომელიც პროლეტარული მოძრაობის თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენს“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. II. გვ. 176).

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ყოველგვარი ქედისმოხრა მუშათა მოძრაობაში სტიქიურობის წინაშე და მოწინავე თეორიის როლის დამცირება ნიშნავს მუშების დაქვემდებარებას ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიული იდეოლოგია გაბატონებული იდეოლოგიაა. ბურჟუაზიის განკარგულებაშია მასებზე ზეგავლენის მრავალი საშუალება, ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაძლევა და მისი გავლენისაგან მასების განთავისუფლება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მოწინავე რევოლუციური თეორიის მასებში დანერგვით და დაუღალავი ბრძოლით ყველა სახის მტრულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

ლენინისა და სტალინის გენიალური შრომები ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის წარმოადგენენ უძლეველ იარაღს ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მარქსიზმ-ლენინიზმი უნერგავს გამარჯვების რწმენას ყველა ქვეყნის მშრომელებს მათს ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ბურჟუაზია თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ფართოდ იყენებს პროპაგანდის ყველა საშუალებას, ავრცელებს ყოველგვარ სიცრუესა და ჭორებს, რომ შეცდომაში შეიყვანოს მუშათა კლასი და შეიტანოს მის რიგებში დაქსაქსულობა. ამჟამად იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ერთგულ სამსახურს უწევენ მემარჯვენე სოციალისტები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ აცხადებენ თავს სოციალისტებად, რომ გავლენა მოიპოვონ მუშათა რიგებში და ასეთი საშუალებით შიგნიდან გახრწნან მუშათა მოძრაობა. მემარჯვენე სოციალისტები მუშათა კლასის ერთიანობის უბოროტესი მტრები არიან.

„პრაქტიკულად დამტკიცებულია, — წერდა ვ. ი. ლენინი,—რომ მუშათა მოძრაობის ოპორტუნისტული მიმართულების მოღვაწენი უკეთესი დამცველები არიან ბურჟუაზიისა, ვიდრე თვით ბურჟუები. ისინი რომ მუშებს არ ხელმძღვანელობდნენ, ბურჟუაზია ვერ გადარჩებოდა“. (ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. V. გვ. 613). მემარჯვენე სოციალისტები თავიანთი შემთანხმებლური პოლიტიკით ცდილობენ მოადუნონ მუშათა კლასის რევოლუციური სიფხიზლე. ისინი კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად ქადაგებენ კლასთა თანამშრომლობას, ხოლო სოციალისტური რევოლუციის ნაცვლად ბურჟუაზიულ რეფორმიზმს.

თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტების შეხედულებები სავსებით ემთხვევა რუსი ეკონომისტებისა და მენშევიკების შეხედულებებს. „ეკონომისტები“ უარყოფდნენ რევოლუციურ მარქსისტულ თვალსაზრისს კლასობრივ ბრძოლაზე, შესაძლებლად თვლიდნენ მუშათა კლასის ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას კაპიტალიზმის ჩარჩოებში რეფორმების გზით. ვ. ი. ლენინმა თავის შრომაში „რა ვაკეთოთ?“ ულმობლად ამხილა „ეკონომისტების“ რეფორმისტული ტაქტიკა. ლენინი აღნიშნავდა, რომ რეფორმებისათვის ბრძოლა თავისუფლებისათვის და სოციალიზმისათვის ბრძოლის ნაწილია. მუშათა კლასის ძირითადი ეკონომიური მოთხოვნილებანი დაკმაყოფილება შეიძლება არა რეფორმების საშუალებით, არამედ შემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლების დამხობით და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით. მუშათა კლასმა უნდა იბრძოლოს არა მარტო იმისათვის, რომ ხელსაყრელ ფასებში გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, არამედ იმისათვის, რომ რევოლუციური გზით ბოლო მოუღოს ჩაგვრასა და ექსპლოატაციას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ რევოლუციონერისათვის მთავარია რევოლუციური მუშაობა და არა რეფორმა. შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ ამხანაგი სტალინი წერს: „რევოლუციონერი იღებს რეფორმას იმისათვის, რომ გამოიყენოს იგი როგორც ხელჩასაკიდი არალეგალურ მუშაობასთან ლეგალური მუშაობის შესახამებლად, იმისათვის, რომ გამოიყენოს იგი, როგორც საფარი არალეგალური მუშაობის გასაძლიერებლად, რათა რევოლუციურად მოამზადოს მასები ბურჟუაზიის დასამხობად“ (ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, გამ. 11, გვ. 77).

ამრიგად, მუშათა კლასის დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა თავიანთ გენიალურ შრომებში ძირფესვიანად გაანშიშვლეს ოპორტუნიზმი, მაღლა აიყვანეს თეორიისა და შეგნებულობის მნიშვნელობა მუშათა მოძრაობაში და პარტიულ, პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ბრწყინვალედ დაასაბუთეს მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ მარქსისტული პარტია არის მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან, და მოგვცეს მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების გენიალური დასაბუთება.

ამხანაგი სტალინი, ახასიათებს რა „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ ლენინის ბრძოლის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას, აღნიშნავს:

„ძველი „ისკრის“ ბრძოლამ და „მაჩანჩალობის“ თეორიის ბრწყინვალე კრიტიკამ ლენინის ბროშურაში „რა ვაკეთოთ?“ არა მარტო დაამსხვრია ეგრეთწოდებული „ეკონომიზმი“, არამედ შექმნა აგრეთვე რუსეთის მუშათა კლასის ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის თეორიული საფუძვლები.

ამ ბრძოლის გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შექმნაზე რუსეთში და მის ხელმძღვანელ როლზე რევოლუციაში“. (იქვე. გვ. 19).

• • •

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა ბოლშევიკურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით, ჩვენი ქვეყნის ხალხები მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება იქცა უძლეველ ძალად კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

„ბოლშევიკების პარტია, — ეკითხულობთ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში, — ვერ გაიმარჯვებდა 1917 წლის ოქტომბერში, მისი მოწინავე კადრები რომ არ დაუფლებოდნენ მარქსიზმის თეორიას, რომ მათ არ შეეთვისებინათ ის აზრი, რომ ეს თეორია სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის, რომ არ ესწავლათ მარქსისტული თეორიის წინ წაწევა,

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 12 მარტის ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით გაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

ჩვენი ჯარების საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 10 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-4 პუნქტს განიხილავს, კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა ამერიკელთა ის მტკიცება, თითქოს მათი სამხედრო ტყვეები გაჰყავდეთ კორეიდან, დაახასიათა როგორც აშკარა ჭორი და ცილისწამება.

როგორც კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა აღნიშნა, ეს ჭორი იმას ნიშნავს, რომ ამერიკელებს არავითარი სერიოზული სურვილი არ გააჩნიათ თავიანთი უსაფუძვლო პოზიციის დასაცავად და იძულებული არიან აშკარა სიყალბე გამოიყენონ დაზავებაზე მოლაპარაკების გასაჭიანურებლად.

კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა აღნიშნა, თუ რა კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელა კორეისა და ჩინეთის მხარემ მე-4 პუნქტის მოსაწესრიგებლად, და თქვა, რომ 5 მარტს მან შეიტანა წინადადება, მაგრამ მას შემდეგ ექვსმა დღემ განვლო, ხოლო ამერიკელები ამ წინადადების მიღების არავითარ ნიშანს არ ამჟღავნებენ. ისინი ჯიუტად იცავენ თავიანთ დაუსაბუთებელ პოზიციას და ავრცელებენ ყოველგვარ პროვოკაციულ ხმებსა და ცილისწამებას. კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა დიდი ეჭვი გამოთქვა იმის შესახებ, რომ ამერიკელებს საერთოდ სურდეთ რაიმეს მოწესრიგება.

შტაბის ოფიცერთა სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-3 პუნქტს განიხილავს, ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ხვალ მათი მთავარმდივნები შეუდგებიან დაზავების შეთანხმების პროექტის ამ ნაწილის ტექსტის შემოწმებას, რომელიც უკვე შეთანხმებულია.

პეკინი, 13 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გადმოსცა:

3 მარტიდან დაწყებული ამერიკელები დაჟინებით იცავენ თავიანთ ყალბ მტკიცებას, თითქოს მეორე მხარის 50 ათასი სამხედრო ტყვე გამოყენებულია ჩვენი მხარის შეიარაღებულ ძალებში. ამერიკელები დაჟინებით აცხადებენ, რომ ეს კიდევ ერთი სადავო საკითხია.

ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე, რომელიც კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-4 პუნქტს განიხილავს, კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა ციტატის სახით მოიყვანა ამერიკელთა ამასწინანდელი განცხადებანი, რათა ცხადყოს, რომ, მათი საკუთარი აღიარებით, სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი დღის წესრიგის მე-4 პუნქტის ერთადერთი გადაუწყვეტელი საკითხია.

კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა განმარტა, რომ ახლად შეთხზული საკითხი სინამდვილეში არ არსებობს და არავითარი საფუძველი არ არის, დაისვას იგი განსახილველად. ეს მხოლოდ კიდევ ერთი ხრიკია, რათა გაჭიანურდეს მოლაპარაკება.

შტაბის ოფიცერთა სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-3 პუნქტს განიხილავს, კორეისა და ჩინეთის მხარის შტაბის ოფიცერმა კვლავ შეიტანა ჩვენი მხარის წინადადება გადაჭრილ იქნეს შემდეგი საკითხები:

1. ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურები; 2. ჯარების მორიგება და გადმოტვირთვის პუნქტები და 3. დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე კომისიის ის უფლება, რომ დაწესოს სასტიკი ინსპექცია შეიარაღებასა და სხვა საჭურველზე, რაც კი კორეაში იგზავნება. მან წინადადება მისცა ამერიკელებს ერთხელ კიდევ განიხილონ ეს წინადადება და მიიღონ იგი.

ორივე მხარის მთავარმდივნები განაგრძობენენ დაზავებაზე შეთანხმების პროექტის იმ ნაწილის ფორმულირებათა შემოწმებას, რომლებიც უკვე შეთანხმებულია.

ამერიკელი აგრესორების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ

ფხენიანი, 12 მარტი. (საკდესი). ფხენიანში, სადაც ამერიკის თვითმფრინავებმა 6 მარტს ლამით ჩამოყარეს ბაქტერიოლოგიური ბომბები, ეპიდემიის საწინააღმდეგო რაზმები ფართო ღონისძიებებს ახორციელებენ საშინელი სენის გავრცელებიანი მწერების მოსასპობად ბომბების, დაჭრილნის ადგილებში. მიღებულია ანარეთვე სხვადასხვა ღონისძიება ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად.

გაზეთი „მინჯუ ჩოსონი“ იუწყება, რომ ფხენიანის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული დასავლეთი რაიონის ეპიდემიის საწინააღმდეგო განყოფილების მუშაკები წარმატებით ასრულებენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო კომიტეტის ბრძანებას ამერიკის ბაქტერიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. დაიწყო ამერიკელთა მიერ გავრცელებული ვირთაგვების და შავი ჭირის ბაქტერიათა და სხვა გადამტანების მოსპობა, ყველგან ხორცელდება ღონისძიებანი, რათა ხოლერისა და ტეტანუსის ბაქტერიებით არ იქნეს მოწამლული წყალსატევები, რომლებთაც ქალაქის მოსახლეობა სარგებლობს. ყველგან წარმოებს დეზინფექცია და ეპიდემიის საწინააღმდეგო აცრა მოსახლეობისათვის.

ეპიდემიის საწინააღმდეგო განყოფილების მუშაკები მეხოვრებლებს აცნობენ ღონისძიებებს, რომელთა გამოყენება საჭიროა ამერიკის ბაქტერიოლოგიურ იარაღთან ბრძოლის დროს.

გაზეთები „ნოდონ სინმუნი“ და „მინჯუ ჩოსონი“ იუწყებიან, რომ ამერიკელი ინტერვენტები კორეაში განაგრძობენ საზარელ დანაშაულობას კაცობრიობის წინააღმდეგ.

კორეის ცენტრალური დეპეშათა საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 26 თებერვალს 11 საათზე ამერიკის თვითმფრინავმა ხვიხეს პროვინციის ჯანეუმის მაზრის ფანსენის თემის სოფელ ლიმოგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოყარეს ფურცლები და ამავე დროს დიდძალი მწერით — ბუზებითა და კოღოებით გატენილი ბაქტერიოლოგიური ბომბები. საქონლის ოფლიანი ბომბების დაჭრილნის რაიონი სავსეა მწერებით. ასეთი ბომბები ჩამოყარეს ამერიკელმა ინტერვენტებმა აგრეთვე კანგონის პროვინციის იონჰხონის მაზრის სენანის თემის სოფელ კაჯანრისა და ჯოიანდონის რაიონებში, აგრეთვე იმავე მაზრის სოფელ კვანერის რაიონში.

გაზეთმა „მინჯუ ჩოსონმა“ გამოაქვეყნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ministრის მოადგილის ლო ჯინ სანის სტატია ამერიკელი იმპერიალისტების ამ ახალი საზარელი დანაშაულობის შესახებ. სტატიაში აღნიშნულია, რომ ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ბაქტერიოლოგიური ომის მასშტაბი და გეგმაშეწონილობა მოწმობს, რომ ამერიკელი იმპერიალისტები დიდი ხანია ემზადებოდნენ ამ ომისათვის. კორეელი ხალხის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება წინასწარ მოფიქრებული დანაშაულია. სტატიაში ნათქვამია, რომ მხოლოდ ერთ თვეში — 26 იანვრიდან 27 თებერვლამდე — ამერიკის თვითმფრინავებმა დასნებოვნებული ბუზებით, რწყილებით, ტილებით, ტაკიებით, ბაღლინჯოებით, კოღოებით, ობობებით გატენილი ბაქტერიოლოგიური ბომბები ჩამოყარეს 4 პროვინციის 13 მაზრაში.

გაზეთი „მინჯუ ჩოსონი“ მოწინავე სტატიაში სათაურით „ამერიკელი იმპერიალისტების ახალი დანაშაულებრივი აქცია“ წერს: ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება არა მარტო კორეაში, არამედ ჩინეთშიც ომის მოწმობს, რომ ამერიკელი და ინგლისელი ინტერვენტები ცდილობენ დაიწყონ აზიაში აგრესიული ომის თავიანთი ფართო გეგმების განხორციელება. მაგრამ ამერიკელ კაცთმოძულეთა ამ საზარელმა მორალმოქმედებამ გამოიწვია მხოლოდ მთელი მსოფლიოს ხალხთა აღშფოთება, კიდევ უფრო დააჩქარა კორეისა და ჩინეთის ხალხები და გააძლიერა მათი სახარბიელო ერთიანობა და გადაწყვეტილება — ჩაშალონ ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული ზრახვები და მიაღწიონ საბოლოო გამარჯვებას თავიანთ სამართლიან ბრძოლაში.

პეკინი, 12 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება:

ჩინეთის მიკრობიოლოგთა საზოგადოებამ მიკრობიოლოგთა საერთაშორისო საზოგადოებას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მთელი მსოფლიოს მიკრობიოლოგებს მოუწოდებს ერთობლივად იმოქმედონ, რათა აღიკვეთოს ამერიკელი ინტერვენტების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარება. დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს ჩინეთის მიკრობიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე ტაი ფეი-ფანი, ნათქვამია:

„ამერიკელი დამპყრობლნი კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის დიდი მასშტაბით გამოყენებასთან ერთად თავხედურად იქრიბიან ჩვენი ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციების საპაერო სივრცეში. 29 თებერვლიდან 5 მარტამდე ისინი ყრიდნენ დასნებოვნებულ მწერებს, ცდილობენ კორეის ომის გაფართოებას და, ამრიგად, საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობას. ეს დანაშაულებრივი მოქმედება ირღვევს საერთაშორისო სამართალს და მიკრობიოლოგთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესის რეზოლუციას, რომელიც კრძალავს ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებას. მთელი მსოფლიოს ადამიანები, რომელსაც მშვიდობა და სამართლიანობა უყვართ, ვერ შეურიგდებიან ამას. ჩვენ, მიკრობიოლოგები, მიკრობებს ვსწავლობთ იმ მიზნით, რომ ადამიანს თავიდან ავაცილოთ დაავადებანი და ამით სარგებლობა მოვუტანოთ კაცობრიობას. ახლა ამერიკელი იმპერიალისტები მთელი მსოფლიოს მიკრობიოლოგთა მიერ დაგროვებულ ცოდნას იყენებენ ომისათვის. რომ ვაღელვინონ ჩინელი და კორეელი სახალხო მებრძოლები, რომლებიც თავიანთ სამშობლოს და თავიანთი ქვეყნების მშვიდობიან მოსახლეობას იცავენ.

ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ამერიკელი ინტერვენტების ამ დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ და მოგმართავთ თხოვნით მოიწოდოთ მთელი მსოფლიოს მიკრობიოლოგებს ერთობლივად იმოქმედონ ამ ბარბაროსობის აღსაკვეთად“.

ვიეტნამელი ქალების გმირობა

შანხაი, 12 მარტი. (საკდესი). მეშვიდე წელია ვიეტნამელი ხალხი მამაცურად იბრძვის ფრანგი კოლონიზატორებისა და ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ. თავიანთ ქმრებთან, მამებთან და ძმებთან ერთად ამ ბრძოლაში მონაწილეობენ ვიეტნამელი ქალები.

ხო-ბინის განთავისუფლებისათვის ამასწინანდელი კამპანიის დროს ბევრმა ვიეტნამელმა ქალმა სამაგალითო გმირობა გამოიჩინა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ფართოდ არიან ცნობილნი ნგუენ თხი ლო, ნგუენ თხი ლანი, ტრან თხი ანი, ნგუენ ლთხი თხანი და სხვა ქალები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ფრონტზე. ნგუენ თხი ლოს ბა-ვის მთის სამხრეთით ბრძოლების დროს რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში დღისით საბრძოლო მასალა მიჰქონდა ჯარებისათვის, ღამით კი გამოქაჯადა დაჭრილი მებრძოლები.

ნგუენ თხი ლანს ერთხელ ღამით გადაჰქონდა მდინარეზე სამი კალთი მედიკამენტები. მის ნავს ტყვია დაუშინა მტრის მოტორიანმა კატერმა. ნავი დაზიანდა. მაშინ ნგუენ თხი ლანი გადეშვა მდინარეში, ნაპირზე გაიყვანა ნავი და გადაარჩინა მედიკამენტიანი კალთები.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია ინდოეთს ჩავიდა

დელი, 12 მარტი. (საკდესი). ბომბეიში ჩამოვიდა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მწერალი ნ. ტიხონოვი. ნ. ტიხონოვმა ბომბეის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ინდოეთში საბჭოთა კულტურის წარმომადგენელთა ყოფნამ ხელი უნდა შეუწყოს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 12 მარტი. (საკდესი). 10 და 11 მარტს რომში გაიმართა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიის ამოცანები იტალიის სამხრეთ და ზოგიერთ ცენტრალურ პროვინციებში მომავალ მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებით. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომპარტიის სამდივნოს წევრმა მაურო სკოჩიმარომ.

სკოჩიმაროს მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს სარდინიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ბელიო სპანომ, კალაბრიის საოლქო კომიტეტის მდივანმა მარიო ალიკატამ, პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ პიეტრო სეკიამ და სხვებმა. თავის სიტყვაში სეკიამ, კერძოდ, აღნიშნა კომპარტიის რიცხვის ზრდა, რომელმაც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში თავის რიგებში 100 ათასი ახალი წევრი მიიღო.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ.

საპროტესტო დემონსტრაცია შიმშილისა და ომის ბიუჯეტის წინააღმდეგ ღონდონში

ლონდონი, 12 მარტი. (საკდესი). გუშინ ლონდონში პარლამენტის შენობის მოედანთან გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ბიუჯეტის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც პარლამენტმა განსახილველად შეიტანა ფინანსთა ministრმა ბატლერმა და რომელიც ითვალისწინებს მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი შემცირების გზით ომის მოსამზადებელი ხარჯების გადიდებას.

საპროტესტო დემონსტრაციაზე მოვიდნენ მექანიკოთა და ხომალდოკოპუსის მუშათა პროფკავშირის ლონდონის განყოფილების დელეგატები, მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის ლენტრისანტის (სამხრეთი უელსი) იდგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, მდინარე მერსეის რაიონის სამეშვეო კომიტეტის საამქროების მამასახლისები, ფირმა „სმიტის“ მრავალი საწარმოს საამქროთა მამასახლისები, სრულიად ინგლისის ქალთა კონფერენციის 200-მდე დელეგატი და სხვები.

ქალებმა პარლამენტის წევრებს გადასცეს პეტიცია, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ, სრულიად ინგლისის ქალთა კონფერენციის დელეგატები, ათასობით ინგლისელი ქალის სახელით ვეცხადებთ ჩვენს პარლამენტის წარმომადგენლებს: ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენი ფული იმისათვის მზადდებოდეს იხარჯებოდეს. ჩვენ არა გვჯერა, რომ ჩვენს ყოფილ მოკავშირეებს ჩვენზე თავდასხმის განზრახვა ჰქონდეთ. ჩვენ მოვითხოვთ სოციალის ფასების დაკლებას, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ასიგნობათა შემცირებაზე უარისთქმას, ბედნიერ ცხოვრებას ჩვენი შვილებისათვის მშვიდობიან ინგლისში. ჩვენ ვთხოვთ პარლამენტს, რომ დაირაზმათ ჩვენი ქვეყნის ყველა ქალს ამ მიზნების მისაღწევად...“

დემონსტრაციის მონაწილეებმა გაიარეს ტრაფალგარის მოედანი და ფლეტ-სტრიტი ლოზუნგებით, რომელნიც მოითხოვენ მშვიდობას, კორეასა და მალაიაში ომის შეწყვეტას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა.

პრეს ასოციაციის საგენტოს ცნობით დემონსტრაციის ორი მონაწილე დაუპატიმრეს.

დემოკრატების დაპატიმრება თურქეთში

სოფია, 11 მარტი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა საგენტო გადმოცემს, თურქეთის პრესა იუწყება, რომ გრძელდება პროგრესული თურქი მოქალაქეების დაპატიმრება. როგორც გაზეთი „ვატანი“ წერს, 9 მარტს სტამბოლში „კომუნისტური პროპაგანდისათვის“ დაუპატიმრეს მუშები არიფ ჩალიშკაი და ისმეთ მარიჩი, სტუდენტი ჰიუსნიუ ოზდემირი და მეორე სტუდენტი, რომლის სახელიც ნახსენები არ არის.

გაზეთი „ჰიურიეთი“ იუწყება, რომ დაუპატიმრეს ნაზიოლის ბამბეულის ფაბრიკის მუშა. დაპატიმრებულთ გასამართლებენ „ანტიკონსტიტუციური მოქმედებისათვის“.

გაზეთი „ენი ისტამბული“ ცნობით, მუგლის ვილაიეთის კეოჯეგიზის მაზრის სოფელ დალიანში დაუპატიმრეს მუშები ზუგან გიუზელი და ზაქარ ატამანი.

საერთაშორისო ეკონომიურ თათბირში მონაწილეობისათვის

პეკინი, 11 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება:

ცნობილმა ჩინელმა სპეციალისტმა ფინანსების დარგში, საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მოწვევის ჩინეთის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ნან ხან-ჯენმა დღეს გაავრცელა შემდეგი განცხადება:

ჩინელ ხალხს უყვარს მშვიდობა და სურს ყველა ქვეყნის მთავრობებთან და ხალხებთან კომერციული და სავაჭრო ურთიერთობა დამყარდეს და განვითარდეს თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მოწვევას მოსკოვში. თათბირის დროს ჩვენ გვსურს ფართო კავშირი დავამყაროთ აზიის, ევროპის, ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის სხვადასხვა ქვეყნის მრეწველებთან და საქმიან წრეებთან, პროფკავშირულ და კოოპერაციულ მოღვაწეებთან, აგრეთვე ეკონომისტებთან. ჩვენ მზადა ვართ საქმიანი ურთიერთობა დავამყაროთ და სავაჭრო გარიგებანი დავდოთ სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო ორგანიზაციებთან, მრეწველებთან და საქმიან წრეებთან, რომლებსაც ჩინეთთან ვაჭრობა სურთ, და, ამრიგად, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას.

ჰელსინკი, 13 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ტიუკანსან სანომატის“ ცნობით, ინგლისის დიპლომატიურმა მისიამ ჰელსინკში გამოუშვა სპეციალური ფურცელი, რომლის მიზანია ყალბი სახით წარმოადგინოს მომავალი საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მიზნები და ამოცანები. ეს ფურცელი ვრცელდება ფინეთის საკანონმდებლო კრებისა და საფინანსო წრეებში, აგრეთვე სეიმის ზოგიერთ დეპუტატთა შორის.

ტოკიო, 13 მარტი. (საკდესი). იაპონიის პრესის ცნობით, მრჩეველთა პალატის ყოფილმა წევრმა ხოასიმ და პარლამენტის დეპუტატმა პროგრესულია პარტიისაგან მიაკოსიმ ტოკიოს საოლქო სასამართლოში საქმე აღძრეს იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც უარი უთხრა საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მონაწილეებს მოსკოვს გასამგზავრებლად პასპორტების მიცემაზე.

დარბაზობა ბერლინში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის პატივსაცემად

ბერლინი, 12 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს ბერლინში ნიდერშენჰაუზენის სასახლეში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა დარბაზობა გამართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის წევრთა პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის წევრები.

დარბაზობას აგრეთვე დაესწრნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიგმანი, მხარეთა პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რიონჰოლდ ლობედანცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე არმიის გენერალი ვ. ი. ჩუიკოვი, საკავშირო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარესთან მყოფი პოლიტიკური მრჩეველი ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაური გ. მ. პუშკინი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, დიდი ბერლინის ობერბურგომისტრი ფრიდრიხ ებერტი, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის წევრი პროფესორი იოჰანეს შტრუპი, გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ვალტერ ფრიდრიხი, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ეროვნული პრემიის ლაურეატები, დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსე, შრომის გმირები, დამსახურებული მასწავლებლები, ექიმები, რკინიგზელები, მაღაროელები და მშრომელთა სხვა წარმომადგენლები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის ყოფნას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხებისა და გერმანელი ხალხის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ვილჰელმ პიკმა ხაზგასმით აღნიშნა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების ამ პროექტის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა. ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის სახელით მან დიდი მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობას და განსაკუთრებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს ხალხთა ნამდვილი მეგობრობის ამ ახალი აქტისათვის.

დასასრულ ვილჰელმ პიკმა აღუთქვა პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს, რომ გერმანიის მშვიდობისმოყვარული ძალები ყველაფერს გააკეთებენ ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრული კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა თავის სიტყვაში მადლობა გადაუხადა იმ გულითადი მიღებისათვის, რაც მას და მის თანმხლებ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის წევრებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაუწიეს.

პრეზიდენტმა გოტვალდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადებათა განხორციელება გერმანელი ხალხის სამართლიანი ეროვნული მოთხოვნის ერთადერთ სწორი გადაწყვეტა იქნებოდა და რომ ეს წინადადებანი მთლიანად შეესაბამება ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს. მან განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხი აქტიურად დაუჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის ამ სამართლიან წინადადებებს.

დასასრულ კლემენტ გოტვალდმა გერმანელ ხალხს უსურვა ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის რაც შეიძლება მალე შექმნა.

პრეზიდენტ გოტვალდის ბერლინში ყოფნის გამო

გვირგვინით შეამკეს საბჭოთა მეომრების ძეგლი

ბერლინი, 12 მარტი. (საკდესი). დღეს დილით ბერლინის ტრეპტოვ-პარკში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა და მისმა თანმხლებმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებმა გვირგვინით შეამკეს ბერლინისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი.

ძეგლის გვირგვინით შემკობას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიგმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ფრიდრიხ ებერტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ბერლინში სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაური ელჩი გ. მ. პუშკინი.

საქონლის საერთაშორისო საგაზაფხულო გამოფენა ვენაში

ვენა, 11 მარტი. (საკდესი). ვენაში გაიხსნა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის საერთაშორისო საგაზაფხულო გამოფენა. გამოფენა მკაფიოდ ადასტურებს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის მოდუნებას. ეი უკვე მესამე წელია, რაც აქ წარმოდგენილია ერთი და ოგივე ფირმები, აქვეყნებენ ერთსა და იმავე საქონელს — სარეცხ მანქანებს, ქალის ჩანთებს, ჭურჭელს, რადიომიმღებებს და ა. შ.

მრავალი ფირმის წარმომადგენლები ჩივიან, რომ მათი საქონელი მყიდველს ვერ პოულობს და ჩაწოლილია. ეს განსაკუთრებით შეეხება სოფეიერო ნაწარმს, ფეხსაცმელს, ავეჯს, ჭურჭელს. სამეურნეო წრეები მოელიან გამოფენის მეშვეობით ვაჭრობის გამოცოცხლებას, გარიგებათა რიცხვის გადიდებას, მაგრამ ასე როდი ხდება.

გამოფენა გვიჩვენებს, რომ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც ეკონომიურად დამოკიდებული გახდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, ამცირებენ მშვიდობიანი პროდუქციის, განსაკუთრებით მანქანებისა და მოწყობილობის, გამოშვებას. ეს, კერძოდ, ჩანს ავსტრიის მაგალითით. ავსტრიას ამერიკის შეერთებული შტატებში, დასავლეთ გერმანიასა და ინგლისში გააქვს შეიარაღებისათვის საჭირო ფოლადი, ფერადი ლითონები და ამ მიზეზით სულ უფრო მცირე რაოდენობით ამზადებს მაღალხარისხოვან მანქანებსა და აპარატურას. უფრო მეტიც, ახლა ავსტრიის თვითონვე შემოაქვს მრავალი სახეობის დაზგები და მოწყობილობა. ავსტრიის ბაზარი სავსეა ამერიკული საქონლით: სამართებლის პირებით, ტუჩის პომადით, ქალის წინდებით, მოსასხამებით და ა. შ.

ახლანდელი გამოფენის დამახასიათებელი თავისებურებაა კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაწარმოები საქონლის ფასების მომატება. სტენდებთან წარამარა ისმის მსგავსი რეპლიკები: „ყველაფერი ძვირია, მეტად ძვირია!“ მართლაც: მაგალითად, ავსტრიის მრეწველობის ნაწარმი მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში 30-50 პროცენტით გაძვირდა.

ამავე დროს გამოფენამ ცხადყო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის მძლავრი ზრდა და ტექნიკური აზრის განვითარება. მნახველთა ყურადღებას იპყრობს უნგრეთის პავილიონი. აქ გამოფენილია ურთიერთსახეობის დაზგა-ავტომატები, რომელთა რეგულირული გამომშვება მოგვარებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების პროცესში.

უნგრეთის ახალგაზრდა სოციალისტური მრეწველობის ნაწარმი დიდად ფასობს საერთაშორისო ბაზარზე: ეს ნაწარმი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ვრცელდება. ივიეე უნდა ითქვას სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების შესახებ.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ კაპიტალისტური ქვეყნების საქმიანი წრეები მოდუნებისა და დაქვეითების მდგომარეობიდან გამოსავალს აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებაში ხედავენ.

საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი ფლორენციაში

გუდაკოვმა ... [illegible]

გაიმართა გ. მაროცის სახელობის საერთაშორისო საკონკურსო ტურნირის მეექვსე ტური.

კერესმა (სსრ კავშირი) მოუგო ფელერს (სსრ კავშირი). ბოტვინიკ (სსრ კავშირი) — გერეგენის (უნგრეთი) პარტია გადაიდო. ტროიანესკუმ (რუმინეთი) მოუგო სილის (უნგრეთი) და შტალბერგმა (შვეიცია)—პლატეს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

პეტროსიანს (სსრ კავშირი) ორი ზედმეტი პაიჯი აქვს პარტიაში გოლომბეკთან (ინგლისი). საყაიმო მდგომარეობაში გადაიდო სმისლოვ (სსრ კავშირი) — კოტნაუერის (ჩეხოსლოვაკია) პარტია.

შეხვედრა პოეტ გიორგი ლეონიძესთან

ლენინგორის რაიონის მშრომელებმა, მოსწავლეებმა, პიონერებმა, ინტელიგენციამ ამას წინათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სტალინური პრემიის ლაურეატს პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. გ. გურამა.

გიორგი ლეონიძის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ეთერ შუშანიამ. მან დაახასიათა გ. ლეონიძის შემოქმედების ძირითადი მოტივები და მისი დამსახურება ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების საქმეში.

დოცენტმა შ. ძიძიგურმა თავის სიტყვაში ვრცლად ილაპარაკა გ. ლეონიძის ენისა და სტილის შესახებ.

გ. ლეონიძის ლექსები წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. კობახიძემ.

პოეტებმა რეკვიზ ასაევმა და ივანე ცხოვრებოვმა წაიკითხეს გ. ლეონიძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს ავრეთვე ლენინგორის რაიონის პიონერებმა და მოსწავლეებმა.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა გიორგი ლეონიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა პიონერებისადმი მიძ